

ლელა მიქიაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

**ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები
ფოლადაურის ხეობის შესახებ***

ქვეყანა, რომელიც Djavala-ს ანუ მაშავრის [1] სამხრეთით (S) ეკატერინენფელდის [2] პირდაპირ არის გადაჭიმული, სრულიად განსხვავდება ჩრდილოეთით მდებარე მხარეებისაგან; აქ ვერ ნახავთ ლავის უზარმაზარ ნაკადებს, ვერც ვულკანურ ამონაფრქვევებს ან ვულკანური წარმოშობის ყვავილთა საფარს; კონუსური ფორმის ბორცვები ჰკვეთენ მიწის ნაკვეთებს და ამ ბორცვებს შორის მშვენიერი ფართო ხეობები ჩნდება, სადაც მდ. ფოლადაური [3] და მისი მდგენელები გაედინებიან, შემდეგ კი ჭაპალას (Djambala) ციხის [4] ნანგრევების დასავლეთით, მაშავერაში ჩაედინებიან¹.

ამ პანორამაზე სრულ წარმოდგენას შეგიქმნით ჩემ მიერ მოცემული ეკატერინენფელდის ხედი; იგი გადაჭიმულია ლელვარიდან (Lialvar) [5] მოშორებულ მწვერვალებამდე, რომლებიც ივნისამდე თოვლის საფარში არიან გახვეულნი. ისინი ჩანან ძველი, დანგრეული ეკლესიის ხელმარჯვნივ, რომელიც აგვირგვინებს წამოწეულ და თითქმის წვერში წაკვეთილ პორფირიტული დიორიტეს კონუსს; მის ძირში კი სოფელია გაშენებული.

ზაფხულობით აქ, ამ ნანგრევებზე დიდი რაოდენობით მოდიოდნენ ქართველი მომლოცველები კახეთიდან: ისინი ნებით თუ იძულებით იყვნენ გადასახლებულნი მევენახეობით განთქმულ

* ეპიზოდი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ნაშრომიდან „მოგზაურობა კავკასიის გარშემო“. ტექსტი თარგმნილია მზია მგალობლიშვილის მიერ.

¹ ეკატერინენფელდის გერმანელები ფოლადაურს მოიხსენიებენ სახელით Bolousoutchaï, რაც ქართველთა „ბოლნისის“ დამახინჯებული ფორმაა.

ალაზნის ნაპირებზე და მათ ჯერ კიდევ ახსოვთ, რომ მათი თავდაპირველი სამშობლო აქ, მაშავერისა და ფოლადაურის ხეობებში იყო.

ფოლადაურის ხეობა კონუსების პირველი რიგის უკანა მხარეს მდებარეობს. ეკატერინენფელდის გერმანელები მას უწოდებენ Köpenikerthal-ს, რაც *კაპანახჩის* [6] დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს².

მიუხედავად იმისა, რომ ციების გამო თავს შეუძლოდ ვგრძნობდი, მაინც გადავწყვიტე ამ ხეობაში წასვლა; ჩვეულებისამებრ, მარტოდმარტო, ერთადერთი იარაღით – გეოლოგიური ჩაქუჩით აღჭურვილი, აღმა ავეყევი მაშავერას, ქვეშის [7] იქით, ოდნავ მოშორებით, ეკატერინენფელდის ბალ-ვენახებისა და საძოვრების გასწვრივ. აქ, ეკლესიის პირდაპირ (რომელიც ჩემს ნახატზე ხელმარჯვნივაა და რომელიც ქვეშს აღმოსავლეთის მხრიდან გადმოჰყურებს), ვნახე ტყით დაფარული ხეობა, რომელიც ახლანდელი ჩორის ნანგრევებისაკენ [8] მიემართებოდა. აქედან გადიოდა გზა, რომელსაც გიულდენშტედტი 1772 წლის 31 მაისს გაჰყვა, როცა იგი დამბლუტის [9] (Damboulout) საბადოების სანახავად გაემურა. ამ გზით პირდაპირ გადიხართ ფოლადაურზე მდებარე შანშა-ოლლუდან (Chancha-Oglou) [10] ქვეშში, რომელიც ასევე მაშავერაზეა. ფოლადაურისაკენ უმოკლესი გზით წავედი და რაც უფრო ვშორდებოდი ვიწრო გასასვლელს და შევდიოდი ხეობაში, უფრო და უფრო იზრდებოდა ჩემი გაოცება, როცა ამ მშვენიერ, მდიდარ და ნაყოფიერ მხარეს ვუცქერდი. მისი ძველი მოსახლეობა უკვე გამქრალიყო და მთელი ხეობის სოფლებში მიმოფანტული იყო მიტოვებული ეკლესიები და სალოცავები; ამ სოფლებს სულ ახლახან თათრები დაეპატრონენ.

ჩორში ბევრი ეკლესიაა. მათ შორის ყველაზე დიდი ვიწრო ხეობიდან გამოსვლისას დავინახე; იგი უმარტივეს სტილშია აგებული, უგუმბათოა და მხოლოდ ერთი აფსიდი აქვს; ნავს ეკვდერისაგან გამოჰყოფენ კვადრატული სვეტები, კედლებს კი უამრავი წარწერა ფარავს. საქართველოსა და სომხეთში გავრცელებული წესისაგან განსხვავებით, უმეტესი მათგანი რელიეფურია. აი, ერთ-ერთის თარგმანი, რომელიც ბ-ნ ბროსე-უმცროსს ეკუთვნის¹; წარწერა სა-

² იხ. Güldenstädt, Beschreibung და ა.შ. გვ. 49 (1834). გენერალური შტაბის რუკაზე აღნიშნულია Kiapanakh, ხოლო გენერალ ხატოვის რუკაზე – Kopenekthi.

¹ დიდი ხანი არ არის, რაც ბ-ნმა ბროსემ კეთილი ნება გამოიჩინა და გადმომცა ჩემ მიერ მოპოვებული ქართული წარწერების თარგმანი, რომელიც

კურთხევის ფანჯრის ქვემოთ, გარე ფასადზეა მოთავსებული:

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, წმიდისა გრიგოლისაჲთა, მე, გლახაკი ელია ბოლნელი მღვდელთმოდურად ღირს ვიქმენ საყდარსა წმიდისა გრიგოლისასა. და ამას საყდარსა ღამისთევად არა დებულ იყო. კვრის ძალითა მე დავდევი და ზედაშე ღამისმთეველთათჳს, საგალობელად ღმრთისა.

ადიდენ ღმერთმან დავით მამფალი და შვილნი მათნი და აბულ მამფალი.

და ან ვინ, შემდგომად ჩემსა, ესე ღამისთევად და ზედაშე ამის ეკლესიისაგან და ფიჩოსანთაგან შეცუალოს, შეჩუენებულმცა არს ღმრთისაგან და ამის საყდრისაგან. ვინ ესე აღბოცოს კანონსა ქუჭშემცა არს“ [11].

ნარნერის ამ ნაწილის მდარე შინაარსმა, გამოხატულობის პერჩევისა და შესრულების სტილმა ბ-ნ ბროსეს აფიქრებინა, რომ ნარნერა თანამედროვეა და შესაძლოა, იგი სომხის მიერ იყოს შესრულებული.

ცოკოლის აშიაზე, რომელიც ეკლესიის ბაზას ქმნის, რელიეფურად შესრულებული ასოები ჩანს:

„... შემინდე მე და აზარუხტს... ეს სახლი ჩვენი სულების სალოცავია“ [12].

ეკლესიის მარჯვენა მხარეს, პატარა კარის წირთხლზე, გადმოვწერე ეს მესამე ნარნერა, რომელიც პირველი ნარნერის შემოკლებული ვერსიაა:

მან გამოაქვეყნა Mémoires de l'Académie impériale des sciences de St-Péterbourg-ში, VI სერია, პოლიტიკური მეცნიერება და სხვ., ტ. IV. წინა ტომებში ამ თარგმანებით სარგებლობა შევძელი მხოლოდ ბ-ნი ბროსეს მიერ გადმოცემული ხელნაწერი შენიშვნებით; საბოლოო ტექსტთან შედარების შედეგად ეს თარგმანები რამდენიმე ვარიანტითაა წარმოდგენილი, მაგრამ არსებითად არაფერია შეცვლილი. მე მაღლობას მოვახსენებ ამ სწავლულ აკადემიკოსს, რომელმაც კეთილსინდისიერი და მნიშვნელოვანი შრომა გასწია და მშვენივრად გამოიყენა ჩემი შრომის ნაყოფი; ვფიქრობ, ამის გარეშე მეცნიერები ვერ იხილავდნენ იმ საინტერესო შედეგებს, რომლებიც ამ სამეცნიერო ნარკვევშია მოცემული. ჩემს მკითხველებს, ვისაც სურს, ღრმად შეისწავლოს აღმოსავლური მწერლობის ეს დარგი, მე სწორედ ამ ნარკვევს ვურჩევდი. ამასთანავე, უნდა აღვნიშნო, რომ მე მხოლოდ მცირეოდენი შეცდომები აღმოვაჩინე ნარნერების იმ ადგილების რედაქციაში, რომელთა გადმოწერაც რთული იყო, ეს შეცდომები კი ჩემ მიერ გადმოწერილი ტექსტიდან მომდინარეობს.

„სახელითა უფლისა... წმინდა გიორგისა“... [13]

პირველი წარწერის თანახმად, წმინდა გრიგოლის ეს ეკლესია ეკუთვნოდა მონასტერს, რომლის ნაშთებიც ნაგებობის ირგვლივ შემორჩენილან. თავდაპირველად, კავკასიელი ავაზაკების თავდასხმებისაგან მას იცავდა გალავანი; ნანგრევებს შორის მხოლოდ ერთი კოშკი დგას, რომელიც ერთდროულად იყო სამრეკლოც და მონასტრის შესასვლელიც. ეზოს მხრიდან ამ კოშკზე გაკრული ხელით შესრულებული დიდი წარწერა დავინახე, მაგრამ მის გადმოსაღებად დრო აღარ მქონდა.

მას შემდეგ, რაც თათრებით დასახლებულ ადგილებში ეს მიტოვებული მონასტერი დავათვალიერე, მოვიხილეთ მენახა მეორე, პირველზე უფრო მშვენიერი ეკლესიაც; მას პირდაპირ გავყურებდი, ფოლადაურის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე აღმართულ მთაზე, მაგრამ ეს მანძილი ჩემთვის ძალზე შორი აღმოჩნდა, ამიტომ ისლა მოვახერხე, იმდენად მაინც მივახლოვებოდი, რომ შევძელი მხოლოდ მისი ჩახატვა და შორიდან დათვალიერება. როგორც გერმანელებმა მითხრეს, ადგილობრივები მას კაჩენას (Katchenna) [14] უწოდებდნენ¹.

სტილის მიხედვით ეს ეკლესია გელათისა და თბილისის ეკლესიების მსგავსია; იგი ჯვრის ტიპისაა, განათებულია ოდნავ დაზიანებული გუმბათით და უფრო ქართული სტილისაა, ვიდრე სომხური. ამ ტაძართან ყველაზე ახლოსაა კაპანახჩი, რომელიც მისგან რამდენიმე ვერსზეა. სოფელი ერთ ლიემდე სიგანისაა და დაბლობის დონეზე შუაგულ ხეობაშია განლაგებული; იგი ყურის მსგავსად იყო მიმართული ჯავალასაკენ, რომელშიც ჩაედინებოდა ფოლადაური.

სხვა ეკლესიები და ციხეები ლამაზად ჩამწკრივებულიყვნენ მთის ფერდობებზე; სამწუხაროდ, დრო არ მქონდა აქ შესაჩერებლად და მას შემდეგ, რაც დიდი გაჭირვებით გადავლახე პორფირითული კონუსი, ეკატერინენფელდში დავბრუნდი. სოფელს ზემოდან დაჰყურებდა მთის წვერზე შემორჩენილი ნანგრევები. ვიმედოვნებდი, რომ აქ ვნახავდი რაიმე ძეგლს, რომელიც დაადასტურებდა, რომ ეს სალოცავი ადგილი იყო, მაგრამ ვიხილე მხოლოდ დიდი გალავნის საძირკველი, რომელიც თითქოს ქოხის გარშემო იყო შემოვლებული; აგრეთვე მომეჩვენა, რომ საძირკველი თითქმის მიწის დონეზე, გადაჭრილ ბუჩქებში იყო და აქვე, ინგლისური ბალების მსგავსად, იყო მლოცველთა ბილიკები. რწმენისა და რე-

¹ იხილეთ ატლასი, II სერია, ფურც. 6.

ლიგიური თაყვანისცემის დამადასტურებელი სხვა ვერაფერი ვნახე; გამონაკლისი იყო ულამაზესი პეიზაჟი.

გიულდენშტედტის მსგავსად, მეც შევამჩნიე, რომ მაშავერას და ფოლადაურის ხეობების ნაწილი, რომელიც უფრო ახლოს იყო ხრამთან, სრულიად მოკლებული იყო ტყის საფარს და მხოლოდ ქვეშთან მიახლოებისას გამოჩნდა ჭალები; ეს კარგად ჩანს ჩემს ნახატზეც.

სოფელი ეკატერინენფელდი ბევრად უფრო წარმატებულია, ვიდრე ელენენდორფი [15]: მას არ აქვს სახელმწიფოს მიმართ დიდი ვალი. კოლონიას ხელსაყრელი მდებარეობა აქვს და თბილისთან სიახლოვე მას თავისი პროდუქციის გასაღების საშუალებას აძლევს. ჩემმა მასპინძელმა, თბილისში მცხოვრებმა ზალცმანმა, რომელიც წარმოშობით ეკატერინენფელდიდან იყო, ჯავალაზე მშვენიერი ნისქვილი ააგო. ამასთანავე, ახალმოსახლეებს აქ, ჯავალას გაყოლებაზე აქვთ მშვენიერი, თუმცა მოურწყავი მონდვრები, საკმაოდ კარგი საძოვრები და ვენახები. მათ მიერ დამზადებული ღვინო, შუშხუნა თეთრი და კლერეტი, სასიამოვნო დასალევია; აქ ვითარდება მევენახეობა და მეცხვარეობა. სოფელს აქვს ერთი ეკლესია და ჰყავს პასტორი.

აღდგომის წინაღღეს ჩემი მასპინძელი ჰობენსახი (Haubensakh) გერმანული ეტლით გამომყვა თბილისის მიმართულებით შუა გზამდე, ანუ კოდას [16] საგუშაგომდე, სადაც ცხენები ავიყვანე.

ჩვენ კვლავ გავიარეთ ქოლაგირი; მისი ადგილმდებარეობა ამჯერად უფრო უცნაური მეჩვენა, ვიდრე პირველად, მას შემდეგ, რაც ახლახან მოვინახულე ლავისაგან ნაგები სამშვილდის კედლები. ცოფმორეული ხრამი გამოედინება ნაცრისფერი თუ შავი ლავის ამ ბნელი უფსკრულიდან, სადაც უსწორმასწორო კლდეზე ეკლესიებისა და სახლების ნანგრევებია შემორჩენილი. იგი დიდ კონტრასტს ქმნის ბორჩალოს ნაყოფიერ ველთან, სადაც სოფლებია გაშენებული, განსაკუთრებით კი ქოლაგირის ციხესთან [17], რომელიც ამ პირქუშ ფერდობზე თეთრად ბრწყინავს.

შემოვბრუნდი სამხრეთ-დასავლეთით (S.O.) და ჩემ წინ დავინახე კლდის მოპირდაპირე მხარე, რომლის სილამაზემ წინა დღეს, ფოლადაურის ხეობაში ყოფნისას, აღტაცებაში მომიყვანა. აქედან მოჩანს ციხის ნანგრევები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჭაპალის ნაშთები¹. იგი აღმართულია მოყვითალო ფე-

¹ გიულდენშტედტი, კლაპროთი და გენ. ხატოვი წერენ Tchapala-ს; დე სტე-ვენი წერს Djambala-ს, სწორედ ასეთი წარმოთქმა მესმოდა ამ მხარეშიც.

რის პორფირის ორ, იზოლირებულ პიკზე, რომლებიც ერთმანეთ-თან გრძელი კედლით არიან დაკავშირებული. კლდეების ეს ჯგუფი ავსებს იმ კუთხეს, სადაც ფოლადაური და ჯავალა ერთვიან ერთმანეთს. ფოლადაურის იმავე ნაპირზე, ჭაპალის ქვემოთ მოჩანს მეორე ციხის – Datlékhatche-ს თუ ბოლნისის [18] ნანგრევები, ისეთივე მშვენიერი, როგორც პირველი ციხისა.

ქოლაგირის იქითა მხარეს, ალგეთის ნაპირებზე მისასვლელად შორი გზით რომ არ მოგვევლო, ავედით ლავის ნაკადზე, რომელიც ისევე როგორც სომხეთში, დახლეჩილი ლოდებით დაფარულ, დანანევრებულ კედელს წააგავს. აქ ხშირად ნახულობენ შავი ლავის (ოფსიდიანის) რომელიღაც სახეობის ფრაგმენტებს (მათ ხალხი აქ-ლემის თვალს უწოდებს), რომლებიც მთელ სიგრძეზე არიან მიმოფანტულნი.

დანგრეული ხიდის ზემოთ ფონით გადავლახეთ ალგეთი და მალე კოდში ჩავედით; ალგეთის ქვიანი ხეობიდან საკმაოდ შორს, ხელმარცხნივ, ვინრო გასასვლელში, სადაც პატარა მდინარე გაედინება, ჩამოვიტოვეთ მესამე კოლონია – ელიზავეტალი [19]. ეს ამ მხარეში მეოთხე, აყვავებული და ნაყოფიერი ნიადაგით გამორჩეული ქალაქი იყო; იგი დიდი და მცირე ენაგეთის [20] (Enaghet) აღმოსავლეთით, თანაბრად დაშორებულ მანძილზე მდებარეობს.

კომენტარები:

* ფრანგულიდან თარგმნა მ. მაგლობლიშვილმა.

1. **მაშავერა//ბოლნისისწყალი** – მდ. ქცია-ხრამის მარჯვენა შენაკადი დმანისისა და ბოლნისის რ-ნებში. გამოედინება კეჩუტის (სველი მთების) ქედიდან ორი მდინარის შეერთების შედეგად („... იწოდა ქციის რთვისათვის: „მა, შავერიე ქციას და ან მაშავრად წოდებული; არამედ გამოსდის კეჩუტის მთასა და მიდის აღმოსავლით, და მიერთვის ქციას ნახიდურის ბოლოს“- ვახუშტი ბარტონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი 1973, გვ. 314); მაშავერას მარჯვენა შენაკადია მდ. კაზრეთულა.

2. **ეკატერინენფელდი** – გერმანული კოლონია, თავდაპირველად დაარსდა ელისავეტპოლის მაზრაში (შამქორში), მაგრამ მიწების სიმწირისა და უწყლობის გამო კოლონისტები გადაიყვანეს სამშვილდეში, ე.წ. ყორანთის მიწაზე (ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისთან. – გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბილისი, 1974, გვ. 30, 40).

3. მდ. ფოლადაური//ხაჩინჩაი//ბოლნისჩაი//პირპინჯიჩაი//ახ-კერპიჩაი – სათავეს იღებს სომხეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავ-ლეთ ფერდობზე, ლელვარის მთის კალთებიდან და უერთდება მდ. მაშავერას მარჯვენა მხრიდან, სოფ. რაჭისუბნის მიმდებარედ.

4. **ჭაპალა** – ციხე მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე, სოფ. გუჩულოს ჩრდილოეთით, ქვის თაღოვანი ხიდის მახლობლად. პირველად იხსენიება 1664 წ. საბუთში, რომლის თანახმად ვახტანგ V შაჰნავაზს (1658-1675) იგი ელიზბარ სოლოლაშვილისათვის უბოძებია. სამეცნიერო ლტერა-ტურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით გუჩულოს ციხე განვითარებული შუასაუკუნეების „ქავაზიანი“ და გვიანდელი შუა-საუკუნეების „ჭაპალა“ უნდა იყოს. არქეოლოგიური გათხრების შე-დეგად მოპოვებული მასალა თარიღდება XII-XIII სს-ებით (დანერი-ლებით იხ. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკო-ნი, თბილისი, 2013, გვ. 627-628).

5. **ლელვარი//ლოჭ-ლელვარი** – მთა ქართლში, ბოლნისის ჩრდილოეთით (იხ. კომენტ. №1).

6. **კაპანახჩი//ქაფანაქჩი//ქვემო ბოლნისი** – სოფ. გარდაბნის რ-ში (XIX ს-ში თბილისიდან გუმრისაკენ მიმავალ გზაზე); ლ. მუს-ხელიშვილის აზრით, ძველად უნდა ყოფილიყო სამი ან ოთხი ბოლ-ნისი. ზემო ბოლნისად (ბოლნის-ხაჩინი) იგი მიიჩნეოდა ხაჩინის ტე-რიტორიაზე აღმოჩენილ ნანგრევებს (ქ. ბოლნისიდან 800 მ-ის და-შორებით, მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირზე, სადაც აგრეთვე ლოკალიზდება ბოლნისის სიონი), ხოლო ისტორიული მცირე ქალა-ქი ბოლნისი ლოკალიზდება სიონიდან სამხრეთით, სოფ. ქვემო ბოლნისის (იგივე ბოლნის-ქაფანაქჩის) ტერიტორიაზე (ლ. მუსხე-ლიშვილი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, ტ. III, თბილისი, 1938, გვ. 321).

7. **ქვეში** – სოფ. ბოლნისის მუნიციპალიტეტში. სოფლის ჩრდი-ლო-დასავლეთით, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე (იქ, სადაც მა-შავერას უერთდება პატარა შენაკადი გეტი), აღმართულია ქვეშის ციხე; არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების თანახმად, ქვე-შის ციხე V-XVIII სს-ში ფუნქციონირებდა, დროდადრო მას უტარ-დებოდა აღდგენითი სამუშაოები, მათგან უკანასკნელი XVIII ს-ში დასრულდა, რა დროსაც აგებულ იქნა ჩვენამდე მოღწეული პატარა ეკლესია (ჯ. კოპალიანი, ქვეშის ციხე, თბილისი, 1999).

8. **ჩორი** – სავარაუდოდ, ავტორი გულისხმობს დღ. ბოლნისის ტერიტორიას. როგორც ჩანს, აქ ავტორი შეცდომაში შეიყვანეს; ამის საფუძველს იძლევა მისივე სიტყვები: „რაც უფრო ვშორდებო-

დი ვინრო გასასვლელს და ხეობაში შეედოდი, მით უფრო იზრდებოდა ჩემი გაცემა, როცა ამ მშვენიერ, მდიდარ და ნაყოფიერ მხარეს ვუყურებდი; მისი ძველი მოსახლეობა გამქრალიყო და მთელი ხეობის სოფლებში მიმოფანტული ეკლესიები და სამლოცველოები მიეტოვებინათ. ამ სოფლებს ახლახან თათრები დაპატრონებოდნენ" (იხ. ტექსტი ზემოთ). ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ძველქართულ წყაროებში ტოპონიმ „ჩორს“ (შორი), თუმცა იგი ნახსენებია გიულდენშტედტის ნაშრომში (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გამოსცა გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 81), რომლის ციტირებასაც ახდენს დ. ბერძენიშვილი, თუმცა, სამწუხაროდ, აღარ აზუსტებს მის ზუსტ ადგილმდებარეობას; გარდა ამისა, მისივე ნაშრომში მოხსენიებულია სოფელი ძველქართული სახელწოდებით „შორი“ (დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბილისი, 2014, გვ. 235, 348; უთითებს იოს. გძელიშვილის მიერ შორის ნასოფლართან წარმოებულ გათხრებს ი. გელიშვილი, Железоплавильное производство в древней Грузии, Тбилиси, 1964. აკად. ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით „ჩორ“ აღნიშნავს დარუბანდის კარს: "...იგი შეიძლება ნაკითხულ იქნეს სხვადასხვანაირად – წურ//ჭურ//ჯურ... ქართული და სომხური მასალების მიხედვით... ყველგან გვხვდება ფორმა ჩორ ან ჩოლ" (გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტი გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1965, გვ. 129-130). იგივე ახსნა აქვს ტერმინს „შუშანიკის ნამების“ ტექსტშიც: „ჩორ“ – სახელწოდებაა დარუბანდის კარისა (იხ. იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1938, გვ. 97). დიუბუას სიტყვებზე დაყრდნობით ამ ეტაპზე შეიძლება ვივარუდოთ, რომ ეს ტოპონიმი იმდროინდელი მოსახლეობის შერქმეულია ბოლნისისხევიდან (ფოლადაურის ხეობიდან) გამოსასვლელის აღსანიშნავად. ამის საფუძველს გვაძლევს ის გარემოებაც, რომ ბოლნისის რაიონში უკვე XVII ს-დან გაჩნდა თურქულენოვანი მოსახლეობა, XVIII ს-ის ბოლოდან კი – სომხური (მოგვიანებით, 1818 წლიდან რუსეთის მთავრობამ აქვე დაასახლა გერმანელი კოლონისტები, ხოლო 1822 წლიდან – ერზერუმიდან გადმოყვანილი ბერძნები; იხ. ენციკლოპედია საქართველო, ტ. I, თბილისი, 1997, გვ. 457), შესაბამისად, ამასთან კავშირში უნდა იყოს აღნიშნული ტოპონიმის დამკვიდრებაც.

9. დამბლუტი//დამპლუტი – მოხსენიებულია იოანე ბაგრატიონის მიერ ბალიჭის ხეობის სოფლების ჩამონათვალში (იოანე ბაგ-

რატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსცეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი, 1986, გვ. 52). დ. ბერძენშვილი – 121-2, 134, 195, 277, 288, 304-5, 336, 348

ბალიჭი – „დბანისს ქუეით არს ჩრდილოთ კერძ ხინნის ხე-ვი...ამას ქუეით სამხრიდამ მაშავერს ერთვის ბალიჭის ხევი, ლოქი-დამ გამომდინარე, არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი“ (ვახუშტი, გვ. 315).

10. **შანში-ოღლუ** (თურქ. ოღლუ-ძე, შანშეს ძეთა) // **შანში-სოფელი** – გვიან შუასაუკუნეებში ბოლნისისხევი სამეფო-სამოურავო სომხითის ძირითადი ერთეული იყო: მამულების უდიდესი მფლობელი სამეფო ოჯახი იყო, ფეოდალთაგან გამოირჩეოდნენ ყაფლანიშვილები, ხოლო ადგილობრივ მფლობელებში დანიშნულდნენ სამწვერისელი აზნაურები – გოგიაშვილ-შანშიაშვილები. მაგ. დოლმაზ გოგიაშვილ-შანშიაშვილი XVII ს. შუახანებში ყაფიჩიბაშიც (სამეფო კარის მცველთა უფროსი) ყოფილა. 1721 წლის აღწერით ბოლნისისხევში შანშიაშვილებს ეკუთვნოდათ ყმები სხვადასხვა სოფლებში, რომელთა შორის „შანში სოფელიც“ იხსენიება; სახელწოდებიდან გამომდინარე, იგი შანშიაშვილების აშენებული უნდა იყოს (დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, 2014, გვ. 288-289).

11. იგულისხმება ბოლნისის ტაძრის სამხრეთი კარის ბალავრის ქვაზე მოთავსებულ 8-სტრიქონიან ასომთავრული წარწერა, რომელიც X ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება (იხ. ელია ბოლნელის წარწერა ღამისთევის დაწესების შესახებ, ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო, გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980, გვ. 248-250).

12. 494 წ. დათარიღებული ეს ასომთავრული წარწერა ბოლნისის ტაძრის ჩრდილოეთის ფასადის დასავლეთით მდებარე კარის ბალავარზეა განთავსებული და კარის შემბმელთა მოსახსენიებელია: „შენევნითა ქრისტოსითა მე, ფარნავაზ და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი სალოცველად ჩუენდა და შვლთა ჩუენთა“ (ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 69-70).

13. ეს წარწერაც ელია ბოლნელის სახელს უკავშირდება: „სახელითა ღმრთისაჲთა, შენევნითა წმიდისა გიორგისა, დავდევე მე, ელია ცოდვილმან... კვრასა ღამისთევამ“ (ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 251).

14. **კაჩენი//ხაჩინი** – იგულისხმება წულრულაშენის ეკლესია, რომელიც ბოლნისიდან სამხრეთით, სოფ. ქვემო ბოლნისიდან 2 კმ-ში, მდ. ბოლნისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მთის ფერდობზე. იგი

ლაშა-გიორგის მეფობის ხანაში აუგია ვინმე ჰასან არსენის-ძეს (გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000). XVIII ს-ში მონასტერი უკვე გაუქმებული ყოფლა: ვახუშტი ბატონიშვილის მის შესახებ წერს: „პარისპირ ამ ეკლესიის (ბოლნისის სიონი – ლ.მ.) არის მონასტერი წულრულაშენისა, გუმბათიანი, მშვენივრად ნაშენი მშვენიერს ადგილას და ან უქმ არს“ (ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. გამოც., გვ. 311).

15. **ელენენდორფი** – გერმანული კოლონია განჯის მახლობლად (დღ. ქ. ხანლარი აზერბაიჯანში); 1818 წ. ვიურტემბერგიდან გადმოსახლებულ გერმანელთა (130 ოჯახი) კოლონია. ეს სახელი მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგინიას – ელენე პავლეს ასულის პატივსაცემად ეწოდა (გ. მანჯგალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31).

16. **კლერეტი** – (ფრ. Clairet) მუქი ვარდისფერი ღვინო, რომელიც ხანმოკლე დაყენების შედეგადაა მიღებული (© **ღვინის კლუბი/vinoge.com**)

17. **კოდა** – სოფელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში.

18. **ქოლაგირი//ცურტავი** – ციხე აგებულია 1788-1798 წწ. ერეკლე II-ს მეუღლის – დარეჯან დედოფლის მიერ. იგი აღმართულია მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე და მოიცავს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას. მისი დანიშნულება იყო სამხრეთიდან ქვემო ქართლისაკენ მომავალი გზის დაცვა (იხ. პ. ზაქარაია, ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, თბილისი, 2002, გვ. 416-418).

19. **ბოლნისის ციხე** – დღევანდელი ბოლნის-ხაჩინის ტერიტორიაზე მიკვლეულია ნაქალაქარი, რომელსაც გალავანი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ახლომდებარე გორაზე აგებული ყოფილა ციხესიმაგრე (ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური..., გვ. 123); ჩვენი ვარაუდით, ავტორი სწორედ ამ ციხეს უნდა გულისხმობდეს.

20. **ელიზავეტალი** – 1818 წ. დაარსებული გერმანული კოლონია (65 ოჯახი) დღევანდელ ასურეთში.

21. **ენაგეთი** – მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მდ. ენაგეთის-ხევის (ალგეთის მარცხენა შენაკადი) ნაპირზე, სოფ. დიდი ენაგეთისა (ანინდელი ჯორჯიაშვილი) და პატარა ენაგეთის (ყოფ. ახალშენი) მახლობლად (ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური..., გვ. 200).

Poladauri Gorge

(Episode from Frédéric Dubois de Montpéreux's
„Travels around the Caucasus“)

Summary

Frederic Dubois de Monpere (1798-1850) was a scientist – traveler, whose publications led to the development of the European Kartvelology. Frenchman by origin, born in Switzerland, he was a famous geologist, naturalist and archeologist. Dubois traveled in different countries including the Caucasus, namely Georgia (1833-1834), which was reflected in his extensive work (in 6 volumes) „Travels around the Caucasus, at Circassians and Abkhazians, in Kolkhida, in Georgia, Armenia and the Crimea“. The work is written in specific style and represents a diary of this author, in which he describes in details facts seen and heard by him. „The Travel“ played an important role in the Georgian source studies.

In one of the paragraphs of the fourth volume entitled – „Poladauri Gorge“ the author describes details of his trip in the region of Kvemo Kartli (Lower Kartli) and his impressions. Besides, he offers interesting materials regarding the condition of Poladauri gorge historical monuments of those period. It should be noted that in the mentioned period (the 1830s) toponymic terminology is significantly mixed, which was supposedly caused by the replacement of the Georgian population by Armenian, German and Greek populations.